საქართველოს მთავრობის

დადგენილება №316

2021 წლის 1 ივლისი

ქ. თბილისი

„პოტენციურად ფეთქებადსაშიშ გარემოში გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და დამცავი სისტემების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №83 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „პოტენციურად ფეთქებადსაშიშ გარემოში გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და დამცავი სისტემების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №83 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 10/02/2020, 300160070.10.003.021792) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. მე-6 და მე-7 მუხლები ამოღებულ იქნეს.

2. მე-8 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დადგენილება, გარდა დადგენილების მე-5 მუხლისა, ამოქმედდეს 2021 წლის 1 ივლისიდან.

2. დადგენილების მე-5 მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**